

საქართველოს თავდაცვის მინისტრის

ბრძანება N MOD 9 20 00000535

2020 წლის 04 აგვისტო ქ.თბილისი

**სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საქართველოს
თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული საცხოვრებელი
და არასაცხოვრებელი ფართობის საკუთრებაში
გადაცემისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ**

„სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართობის საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 17 ივლისის N445 დადგენილებით დამტკიცებული „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართობის საკუთრებაში გადაცემის შესახებ დებულების“ მე-5 მუხლის მე-6 პუნქტის, მე-7 პუნქტისა და მე-9 პუნქტის, „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 12 დეკემბრის N580 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ე“ და „ო“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. შეიქმნას სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) ბალანსზე რიცხული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართობის (შემდგომში - ფართობი) საკუთრებაში გადაცემის თაობაზე განცხადებების განმხილველი კომისია (შემდგომში-კომისია) შემდეგი შემადგენლობით:

ა) კომისიის თავმჯდომარე - საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე ჯუანშერ ბურჭულაძე, რომელიც წარმართავს კომისიის სხდომას;

ბ) კომისიის თავმჯდომარის მოადგილე - საქართველოს თავდაცვის ძალების მეთაურის მოადგილე - გენერალური შტაბის უფროსი ბრიგადის გენერალი ჯონი ტატუნაშვილი, რომელიც ასრულებს კომისიის თავმჯდომარის მოვალეობას მისი არყოფნის შემთხვევაში;

ბრძანება N MOD 0 20 00000554 08.08.2020 ძალაშია ხელმოწერის დღიდან;

გ) კომისიის წევრები:

გ.ა) საქართველოს თავდაცვის ძალების ჯარების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდალი;

გ.ბ) საქართველოს თავდაცვის ძალების ჯარების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდლის მოადგილე - პოლკოვნიკი კახა ტაბატაძე;

გ.გ) საქართველოს თავდაცვის ძალების გენერალური შტაბის სამხედრო პერსონალის მართვის ცენტრის უფროსი - პოლკოვნიკი ირაკლი ყოლბაია;

გ.დ) საქართველოს თავდაცვის ძალების გენერალური შტაბის J-4 ლოჯისტიკის დაგეგმვის დეპარტამენტის უფროსი - პოლკოვნიკი გია მჭედლიშვილი;

გ.ე) საქართველოს თავდაცვის ძალების აღმოსავლეთის სარდალი;

- გ.ვ) საქართველოს თავდაცვის ძალების დასავლეთის სარდალი;
- გ.ზ) სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსი - გიორგი ციცაგი;
- გ.თ) სამინისტროს ფინანსების მართვის დეპარტამენტის უფროსი - ივანე ჯაფარიძე;
- გ.ი) სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე - მერი კიკვაძე;
- გ.კ) სამინისტროს ფინანსების მართვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი - ფირან წაქაძე.

2. კომისია უფლებამოსილია მოიწვიოს სსიპ – დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს, აგრეთვე შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენელი, სათათბირო ხმის უფლებით (არ იღებს მონაწილეობას კენჭისყრაში).

3. კომისია განიხილავს პირის განცხადებას ფართობის საკუთრებაში გადაცემის შესახებ და საქართველოს თავდაცვის მინისტრს წარუდგენს რეკომენდაციას განმცხადებლისათვის:

ა) ფართობის საკუთრებაში გადაცემის შესახებ;

ბ) საკუთრებაში გადაცემაზე უარის თქმის შესახებ.

4. კომისია უფლებამოსილია ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული განცხადების განხილვის დროს, იმსჯელოს და საქართველოს თავდაცვის მინისტრს წარუდგინოს რეკომენდაცია შესაბამისი ფართობის სამინისტროს საბინაო ფონდიდან ამორიცხვის შესახებ, თუ ეს ფართობი გამიზნული არ არის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების პერიოდში სამინისტროს მოსამსახურის ბინით უზრუნველყოფისათვის.

5. საქართველოს თავდაცვის ძალების ჯარების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდლობა ახორციელებს კომისიის საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას (მათ შორის განსაზღვრავს კომისიის სხდომის დღის წესრიგს) და კომისიის სამდივნოს ფუნქციას.

6. დამტკიცდეს:

ა) სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სამინისტროს ბალანსზე რიცხული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართობის საკუთრებაში გადაცემის წესი (დანართი N1);

ბ) განცხადების ფორმა (დანართი N2);

გ) ჩუქების ხელშეკრულების ფორმები (დანართი N3, N4).

7. დაევალოს:

ა) სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფებს, ასევე სამინისტროს სისტემაში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებსა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებს სათანადო დახმარება გაუწიონ კომისიას და კომისიის სამდივნოს, მათი მოთხოვნის საფუძველზე;

ბ) სამინისტროს იურიდიულ დეპარტამენტს კომისიის სამდივნოს, წარუდგინოს ინფორმაცია იმ საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართობების შესახებ, რომლებთან დაკავშირებითაც სამინისტროს ჩართულობით მიმდინარეობს დავა.

8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

9. ბრძანება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი N64), ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

მინისტრი

ირაკლი ღარიბაშვილი

**სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს
ბალანსზე რიცხული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართობის საკუთრებაში
გადაცემის წესი**

მუხლი 1. რეგულირების სფერო

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართობის საკუთრებაში გადაცემის წესი (შემდგომში - წესი) არეგულირებს „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართობის საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 17 ივლისის N445 დადგენილებით დამტკიცებული დებულების (შემდგომში - დებულება) მე-4 მუხლით გათვალისწინებულ შესაბამის პირთათვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) ბალანსზე რიცხული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართობის (შემდგომში - ფართობი) საკუთრებაში გადაცემის ადმინისტრირების საკითხებს.

მუხლი 2. კომისია

1. კომისია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და მათი ურთიერთშეჯერების საფუძველზე, იღებს:

ა) რეკომენდაციას დებულების მე-4 მუხლით განსაზღვრული უფლებამოსილი პირისთვის ფართობის საკუთრებაში გადაცემის შესახებ;

ბ) რეკომენდაციას განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, თუ განმცხადებელი არ წარმოადგენს დებულების მე-4 მუხლით განსაზღვრულ უფლებამოსილ პირს ან/და ამავე დადგენილების მიხედვით ფართობი არ ექვემდებარება საკუთრებაში გადაცემას;

გ) გადაწყვეტილებას:

გ.ა) საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების დამატებითი გამოკვლევის შესახებ, თუ კომისიაში წარმოდგენილი ადმინისტრაციული წარმოების მასალა არ იძლევა ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული რეკომენდაციის მიღების საკმარის საფუძველს;

გ.ბ) საქმის განხილვის გადადების შესახებ.

2. კომისია უფლებამოსილია მიიღოს ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული რეკომენდაცია, თუ დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული:

ა) საკუთრებაში გადაცემული ფართობი განადგურდა, შესაბამის პირზე საკუთრების უფლების მოპოვების შემდეგ, საომარი მდგომარეობის, საგანგებო მდგომარეობის ან/და სიტუაციის შედეგად;

- ბ) საკუთრებაში გადაცემული ფართობით სარგებლობა წარმოადგენს სიცოცხლისათვის საშიშს ან/და შეუძლებელია ამ ფართობით სარგებლობა საომარი მდგომარეობის, საგანგებო მდგომარეობის ან/და სიტუაციის შედეგების გამო;
- გ) განმცხადებელი წარმოადგენს საარსებო შემწეობის მიმღებ ბენეფიციარს.
3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, კომისია უფლებამოსილია მიიღოს რეკომენდაცია ფართობის განმცხადებლის საკუთრებაში გადაცემის შესახებ, თუ განმცხადებელი დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მის საკუთრებაში გადაცემულ სახელმწიფოს ბალანსზე რიცხულ ფართობს საკუთრებაში გადასცემს სახელმწიფოს.
4. საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევის მიზნით, კომისია: უფლებამოსილია:
- ა) განმცხადებელი ან სხვა დაინტერესებული პირი მოიწვიოს ან/და მოთხოვოს დამატებითი დოკუმენტაციის წარმოდგენა;
- ბ) გამოითხოვოს შესაბამისი დოკუმენტაცია სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებიდან, სამინისტროს სისტემაში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირებიდან და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებიდან, აგრეთვე სხვა ადმინისტრაციული ორგანოებიდან და კერძო სამართლის იურიდიული პირებიდან.
5. კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ სხდომას ესწრება კომისიის წევრთა სრული რაოდენობის 1/2 მაინც (მათ შორის, კომისიის თავმჯდომარე).
6. კომისიის სხდომაზე კომისიის სამდივნოს მიერ შემოთავაზებული რეკომენდაცია/ გადაწყვეტილება მიიღება სახელობითი კენჭისყრის საფუძველზე, კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით. კომისიის ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.
7. კომისიის სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრი ვალდებულია მიიღოს მონაწილეობა კენჭისყრაში და საკითხთან დაკავშირებით გამოხატოს ერთ-ერთი შემდეგი პოზიცია:
- ა) ეთანხმება ფართობის განმცხადებლის საკუთრებაში გადაცემას;
- ბ) არ ეთანხმება ფართობის განმცხადებლის საკუთრებაში გადაცემას;
- გ) საკითხი ექვემდებარება საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისათვის დამატებით შესწავლას;
- დ) გადადებულ იქნეს საკითხის განხილვა.
8. კომისიის სხდომაზე დგება სხდომის ოქმი, რომელსაც ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე და კომისიის მდივანი.
9. კომისიის რეკომენდაციას/გადაწყვეტილებას ხელს აწერს ამ გადაწყვეტილების მისაღებად გამართულ კენჭისყრაში მონაწილე კომისიის ყველა წევრი მათი სამსახურებრივი პოზიციის მითითებით.

მუხლი 3. კომისიის სამდივნო

1. საქართველოს თავდაცვის ძალების ჯარების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდლობა - კომისიის სამდივნო:
- ა) იღებს განცხადებასა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციას;

ბ) განიხილავს განცხადებას და საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და მათი ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ამზადებს საკითხებს კომისიაზე განსახილველად;

გ) კომისიას წარუდგენს რეკომენდაციის პროექტს:

გ.ა) ფართობის განმცხადებლის საკუთრებაში გადაცემის შესახებ;

გ.ბ) განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ;

გ.გ) ფართობის საბინაო ფონდიდან ამორიცხვის შესახებ;

დ) ახორციელებს განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზის დამოწმებას მასზე შესაბამისი ბეჭდის დასმით.

2. საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევის მიზნით კომისიის სამდივნო უფლებამოსილია:

ა) განმცხადებელს და სხვა დაინტერესებულ პირს, საქმისთვის მნიშვნელოვანი გარემოებების დასადგენად მოთხოვოს დამატებითი დოკუმენტაციის წარმოდგენა ან/და მიიღოს ახსნა-განმარტება და განუსაზღვროს გონივრული ვადა (არ უნდა იყოს ათ დღეზე ნაკლები) დამატებითი დოკუმენტაციის წარმოსადგენად ან/და ახსნა-განმარტების მისაღებად;

ბ) სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფებსა და სამინისტროს სისტემაში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, აგრეთვე არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებს მოთხოვოს საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოწოდება ან/და ქმედებების განხორციელება. თავის მხრივ, სტრუქტურული ქვედანაყოფი/სსიპ/ა(ა)იპ ვალდებულია დაუყოვნებლივ შეასრულოს მოთხოვნა, თავისი კომპეტენციის ფარგლებში;

გ) სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოდან და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებიდან გამოითხოვს დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაცია;

დ) სსიპ - „დევენილთა, ეკომიგრანთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოდან“ გამოითხოვს დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაცია, აგრეთვე ინფორმაცია განმცხადებლის დევნილის სტატუსის შესახებ;

ე) სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან გამოითხოვს დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია;

ვ) სახელმწიფო უწყებებიდან მოითხოვს შესაბამისი ინფორმაცია;

ზ) საჭიროების შემთხვევაში, შეადგინოს სართულის განშლის დამადასტურებელი დოკუმენტი;

თ) განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებები.

მუხლი 4. ფართობის საკუთრებაში გადაცემა

1. საქართველოს თავდაცვის მინისტრი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ფართობის განმცხადებლის საკუთრებაში გადაცემის ან/და გადაცემაზე უარის თქმის შესახებ.

2. ფართობის საკუთრებაში გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, სამდივნო აცნობებს განმცხადებელს ჩუქების ხელშეკრულების გაფორმების შესახებ.
3. ჩუქების ხელშეკრულებას ხელს აწერს საქართველოს თავდაცვის მინისტრი ან მისგან უფლებამოსილი პირი და განმცხადებელი/განმცხადებლები, ხოლო დევნილის შემთხვევაში, ასევე სსიპ „დევნილთა, ეკომიგრანთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს“ უფლებამოსილი პირი.
4. ჩუქების ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე განმცხადებელს გადაეცემა დამოწმებული საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზი.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის ---- წლის N-- ბრძანებით შექმნილ კომისიას

„სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართობის საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 17 ივლისის N445 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილი პირი

სახელი, გვარი

ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი

პირადი ნომერი

დევილის მოწმობის ნომერი

ელექტრონული ფოსტა

ტელეფონი

წარმომადგენელი

სახელი, გვარი

ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი

პირადი ნომერი

ელექტრონული ფოსტა

ტელეფონი

გთხოვთ, უსასყიდლო საკუთრებაში გადმომცეთ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული ფართობი, „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართობის საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 17 ივლისის N445 დადგენილებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, მიწასთან ერთად:

საცხოვრებელი

არასაცხოვრებელი

საკადასტრო კოდი

საკადასტრო კოდი

მისამართი

მისამართი

- წარმოადგენს მრავალბინიანი სახლის ნაწილს
- არ წარმოადგენს მრავალბინიანი სახლის ნაწილს

- წარმოადგენს მრავალბინიანი სახლის ნაწილს
- არ წარმოადგენს მრავალბინიანი სახლის ნაწილს

ჩემთვის/ჩვენთვის ცნობილია და ვეთანხმები(თ), რომ:

ა) „სახელმწიფო საკუთრებში არსებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართობის საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 17 ივლისის N445 დადგენილების მიხედვით, ამ დადგენილებით განსაზღვრული ფართობი საკუთრებაში არ გადაეცემა:

ა.ა) პირს, თუ მას, მის მშობელს, მეუღლეს (ყოფილ მეუღლეს) ან შვილს/შვილებს საკუთრებაში ერთხელ მაინც გადაეცა სახელმწიფოს ბალანსზე რიცხული ფართობი;

ა.ბ) დევნილს/დევნილ ოჯახს, თუ უზრუნველყოფილი არის დევნილის გრძელვადიანი საცხოვრებელით;

ბ) „სახელმწიფო საკუთრებში არსებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართობის საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 17 ივლისის N445 დადგენილების შესაბამისად, საცხოვრებელი ფართობის დევნილისთვის (დევნილი ოჯახისთვის) გადაეცემა წარმოადგენს მისი, როგორც დევნილის გრძელვადიანი საცხოვრებელით უზრუნველყოფას და შესაბამისად, მას (მის ოჯახს) აღარ წარმოეშობა დევნილის სტატუსიდან გამომდინარე დევნილის გრძელვადიანი საცხოვრებელით უზრუნველყოფა;

გ) საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირს.

ვაცხადებ(თ), რომ:

ა) საკუთრებაში არ მაქვს საცხოვრებელი ფართობი;

ბ) არ ვარ რუსეთის ფედერაციის სამხედრო ძალებში მომსახურე პირი.

ვაცხადებ(თ) თანხმობას, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ დაამუშაოს (მათ შორის, გამოითხოვოს) ჩემთან/ჩვენთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემები, რომლებიც საჭიროა სახელმწიფო საკუთრებში არსებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული ფართობის ჩემს/ჩვენს საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მისაღებად.

ვადასტურებ(თ) წარმოდგენილი დოკუმენტაციის / ინფორმაციის სისწორეს.

დანართი:

- 1.
- 2.
- 3

ხელმოწერა -----

თარიღი -----

ჩუქების ხელშეკრულება N

თბილისი

..... 202

წელი

1. ხელშეკრულების მხარეები

მჩუქებელი	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო თბილისი, გენერალ გ. კვინიტაძის 20
მჩუქებლის წარმომადგენელი	სახელი, გვარი ----- პირადი N ----- ბრძანების / მინდობილობის გაცემის თარიღი და ნომერი ----- -----

დასაჩუქრებული	სახელი, გვარი ----- პირადი N -----
დასაჩუქრებულის წარმომადგენელი	სახელი, გვარი ----- პირადი N ----- ბრძანების / მინდობილობის გაცემის თარიღი და ნომერი ----- -----

2. ჩუქების საგანი

მჩუქებელმა დასაჩუქრებულს საკუთრებაში გადასცა, ხოლო დასაჩუქრებულმა საკუთრებაში მიიღო უძრავი ნივთი არსებული მდგომარეობით:

<p>მდებარეობა (მისამართი): ----- -----</p> <p>საკადასტრო კოდი: ----- -----</p>
--

ფართობი (სიტყვიერად): -----

ფართობის დანიშნულება: -----

მიწის ნაკვეთის ფართობი (სიტყვიერად): -----

3. ხელშეკრულების სხვა დებულებები

3.1 საჯარო რეესტრში რეგისტრაციის საფასურს იხდის დასაჩუქრებული;

3.2 წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება გაუქმდეს, თუ გაუქმდება ფართობის (მიწასთან ერთად) საკუთრებაში გადაცემის დოკუმენტაცია.

3.3 მხარეთა შორის ურთიერთობა წესრიგდება როგორც წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების, ასევე უძრავი ნივთის ჩუქების ხელშეკრულების მომწესრიგებელი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

3.4 მხარეთა შორის დავის წარმოშობის შემთხვევაში, დავას განიხილავს სასამართლო.

3.5 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომლის ერთი ეგზემპლარი რჩება გამჩუქებელთან, ხოლო მეორე - დასაჩუქრებულთან.

წინამდებარე ხელშეკრულების ტექსტი სრულიად შეესაბამება და გამოხატავს მხარეთა, რასაც ვადასტურებთ მხარეთა ხელმოწერით

მჩუქებელი -----

სახელი და გვარი

ხელმოწერა

დასაჩუქრებული -----

სახელი და გვარი

ხელმოწერა

ჩუქების ხელშეკრულება N

თბილისი 202

წელი

1. ხელშეკრულების მხარეები

მჩუქებელი	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო თბილისი, გენერალ გ. კვინიტაძის 20
მჩუქებლის წარმომადგენელი	სახელი, გვარი ----- პირადი N ----- ბრძანების/მინდობილობის გაცემის თარიღი და ნომერი ----- -----

დასაჩუქრებული	სახელი, გვარი ----- პირადი N -----
დასაჩუქრებულის წარმომადგენელი	სახელი, გვარი ----- პირადი N ----- ბრძანების/მინდობილობის გაცემის თარიღი და ნომერი ----- -----

მესამე პირი	სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო
მესამე პირის წარმომადგენელი	სახელი, გვარი ----- პირადი N ----- ბრძანების/მინდობილობის გაცემის თარიღი და ნომერი ----- -----

2. ჩუქების საგანი

მჩუქებელმა დასაჩუქრებულს საკუთრებაში გადასცა, ხოლო დასაჩუქრებულმა საკუთრებაში მიიღო უძრავი ნივთი არსებული მდგომარეობით:

მდებარეობა (მისამართი): ----- -----
საკადასტრო კოდი: ----- -----
ფართობი (სიტყვიერად): ----- -----
ფართობის დანიშნულება: ----- -----
მიწის ნაკვეთის ფართობი (სიტყვიერად): ----- -----

3. ხელშეკრულების სხვა დებულებები

3.1. საჯარო რეესტრში რეგისტრაციის საფასურს იხდის დასაჩუქრებული.

3.2. „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართობის საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 17 ივლისის N445 დადგენილების შესაბამისად, საცხოვრებელი ფართობის დევნილისთვის (დევნილი ოჯახისთვის) გადაცემა წარმოადგენს მისი, როგორც დევნილის გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფას და შესაბამისად, მას (მის ოჯახს) სახელმწიფოს წინაშე აღარ წარმოეშობა დევნილის სტატუსიდან გამომდინარე, დევნილის გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის მოთხოვნის საფუძველი.

3.3 წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება გაუქმდეს, თუ გაუქმდება ფართობის (მიწასთან ერთად) საკუთრებაში გადაცემის დოკუმენტაცია.

3.4 მხარეთა შორის ურთიერთობა წესრიგდება როგორც წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების, ასევე უძრავი ნივთის ჩუქების ხელშეკრულების მომწესრიგებელი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

3.5 მხარეთა შორის დავის წარმოშობის შემთხვევაში, დავას განიხილავს სასამართლო.

3.6 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი ძალის მქონე სამ ეგზემპლარად, რომლის ერთი ეგზემპლარი რჩება გამჩუქებელთან, მეორე ეგზემპლარი- დასაჩუქრებულთან, ხოლო მესამე ეგზემპლარი - მესამე პირთან.

წინამდებარე ხელშეკრულების ტექსტი სრულიად შეესაბამება და გამოხატავს მხარეთა, აგრეთვე მესამე პირის ნებას, რასაც ვადასტურებთ მხარეთა ხელმოწერით

მჩუქებელი

სახელი და გვარი

ხელმოწერა

დასაჩუქრებელი

სახელი და გვარი

ხელმოწერა

მესამე პირი

სახელი და გვარი

ხელმოწერა